საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

17/01/2025

MES 0 25 0000026451

გადაწყვეტილება

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 - ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 და მე-9 პუნქტების და აკრედიტაციის დებულების 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 4 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2024 წლის 22 მარტს წარმოდგენილ იქნა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის წერილი №1127 (ცენტრში რეგისტრაციის - №344516; 22/03/2024), რომლითაც დაწესებულებამ წარმოადგინა

სააკრედიტაციო განაცხადი "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.
2.2. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 22 აპრილის №453667 ბრძანების საფუძველზე, შპს ქუთაისის უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2024 წლის 12 ივნისის №654203 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომლის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა			x	
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		x		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2024 წლის 24 დეკემბერს.
2.4 საბჭომ 2.4 კომპონენტთან მიმართებით დაამატა რეკომენდაცია - "რეკომენდებულია ფინალურ გამოცდებზე OSCE -ის სადგურების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 10-ით.", რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და კომპონენტი ნაცვლად "შესაბამისია მოთხოვნებთან" შეფასდა, როგორც "მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან". აღნიშნულმა არ იმოქმედა მეორე სტანდარტის შეფასებაზე.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-5 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-9 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-3, მე-3^3 და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27^9 მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 24 ხმით, 2 ხმის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს იქნა შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვან ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით, 2025 წლის 24 დეკემბრამდე და პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 300 - ით.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 17 იანვრის სხდომის №27990 ოქმის №01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4. დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა თავისი მისიის დებულებებზე დაყრდნობით უფრო მეტად დაასაბუთოს თბილისში ახალი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შეთავაზების საჭიროება.
2. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დააზუსტოს თბილისში ქუთაისის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დაინტერესებულ მხარეთა როლი პროგრამის შემუშავებაში, მათ შორის სწავლის შედეგების შემუშავებაში.
3. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გადახედოს სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებისთვის „პირდაპირ მეთოდს“, რათა შეაფასოს სწავლის შედეგების მიღწევა და არა სტუდენტთა პროგრესი გამოცდებზე.
4. რეკომენდებულია, სავალდებულო კურსების თანმიმდევრობის განსაზღვრა მიღწეული კომპეტენციების მიხედვით.
5. რეკომენდებულია, თითოეულ სასწავლო კურსს ჰყავდეს კონკრეტული ავტორი ან ხელმძღვანელი, რათა უზრუნველყოფილ იქნას კურსის ეფექტური განხორციელება.
6. რეკომენდებულია, კლინიკური და პროფესიული უნარები საბოლოო ეტაპზე შეფასდეს OSCE გამოცდით.
7. რეკომენდებულია აფილირებული პროფესორების რაოდენობის გაზრდა პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად.
8. რეკომენდებულია ადმინისტრაციული პერსონალის დამატება, რომელიც უშუალოდ დაეხმარება ამ პროგრამას თბილისში.

9. რეკომენდებულია უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის გაუმჯობესება დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისთვის, კერძოდ, ისეთი შეფასების სისტემის შექმნა და დანერგვა, რომელიც გაზომავს სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონეს.
10. რეკომენდებულია, ფინალურ გამოცდებზე OSCE-ის სადგურების რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 10-ით.

რჩევა:

1. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა თბილისში ქუთაისის უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს.
2. სასურველის, უნივერსიტეტმა უფრო სწრაფად მოახდინოს ხარვეზებზე რეაგირება და არ დაელოდოს სამი წლის გასვლას.
3. სასურველია, რომ საიჯარო ხელშეკრულება გათვალისწინებულ იქნას ბიუჯეტში.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2024 წლის 24 დეკემბერს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ლომინაძე თამარ

ელექტრონული მფლობელობა